

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1	ზოგადი ინფორმაცია	5
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო.....	6
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	6
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას.....	15
5	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
6	ძირითადი საშუალებები	17
7	გაცემული სესხები	19
8	ვადიანი დეპოზიტები	19
9	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
10	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	20
11	საწესდებო კაპიტალი.....	20
12	სესხები	21
13	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14	სადაზღვევო კომპენსაცია	22
15	ფინანსური ხარჯები	22
16	გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	22
17	პირობითი ვალდებულებები.....	24
18	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	25

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას აშშ დოლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	44,753	43,546
არამატერიალური აქტივები		3	3
გაცემული სესხები	7	-	1,701
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	6	16,621	4,790
ვადიანი დეპოზიტები	8	1,312	1,278
სულ გრძელვადიანი აქტივები		62,689	51,318
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		107	111
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		725	1,464
გაცემული სესხები	7	541	4,856
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,901	414
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	7,055	1,720
სულ მიმდინარე აქტივები		11,329	8,565
სულ აქტივები		74,018	59,883
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	96,770	96,770
აკუმულირებული ზარალი		(124,261)	(98,624)
სულ საკუთარი კაპიტალი		(27,491)	(1,854)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	12	63,960	39,608
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,205	580
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		65,165	40,188
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	35,672	18,213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	672	3,336
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,344	21,549
სულ ვალდებულებები		101,509	61,737
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		74,018	59,883

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 3 ივლისს და ხელმოწერილია მათი სახელით:

გიორგი ზაიდარაშვილი
დირექტორი

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას აშშ დოლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	44,753	43,546
არამატერიალური აქტივები		3	3
გაცემული სესხები	7	-	1,701
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	6	16,621	4,790
ვადიანი დეპოზიტები	8	1,312	1,278
სულ გრძელვადიანი აქტივები		62,689	51,318
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		107	111
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		725	1,464
გაცემული სესხები	7	541	4,856
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,901	414
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	7,055	1,720
სულ მიმდინარე აქტივები		11,329	8,565
სულ აქტივები		74,018	59,883
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	96,770	96,770
აკუმულირებული ზარალი		(124,261)	(98,624)
სულ საკუთარი კაპიტალი		(27,491)	(1,854)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	12	63,960	39,608
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,205	580
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		65,165	40,188
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	35,672	18,213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	672	3,336
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,344	21,549
სულ ვალდებულებები		101,509	61,737
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		74,018	59,883

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 3 ივლისს და ხელმოწერილია მათი სახელით:

გიორგი ბაიდარაშვილი
 დირექტორი

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

<i>ათას აშშ დოლარში</i>	შენიშვნა	2022	2021
სადაზღვევო კომპენსაცია	14	8,138	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	(15,233)	(28,167)
გაცემული სესხების გაუფასურება	7	(9,969)	-
ჯარიმები		(591)	(412)
ქონების გადასახადის ხარჯი		(451)	(503)
ხელფასები და სარგოები		(421)	(338)
პროფესიული მომსახურების ხარჯები		(234)	(78)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(45)	(39)
სხვა (ზარალები)/შემოსულობები, წმინდა		(374)	361
საოპერაციო მოგება		(19,180)	(29,176)
ფინანსური შემოსავალი		1,867	500
ფინანსური ხარჯები	15	(8,165)	(4,120)
წმინდა საკუროსო შემოსულობა/(ზარალი)		(159)	100
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(25,637)	(32,696)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(25,637)	(32,696)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(25,637)	(32,696)

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)
კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება

<i>ათას აშშ დოლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>აკუმულირებული ზარალი</i>	<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		79,487	(66,242)	13,245
სულ წლის სრული ზარალი		-	(32,696)	(32,696)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	16,775	-	16,775
შერწყმის ეფექტი		508	314	822
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		96,770	(98,624)	(1,854)
სულ წლის სრული ზარალი		-	(25,637)	(25,637)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		96,770	(124,261)	(27,491)

მტკვარი ჰოლდინგი (ჯგუფი)
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას აშშ დოლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(25,637)	(32,696)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	6	45	39
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		15,233	28,167
გაცემული სესხების გაუფასურება		9,969	-
მარაგების ჩამოწერა		45	26
ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა		(19)	-
ფინანსური შემოსავალი		(1,867)	(500)
ფინანსური ხარჯები	15	6,892	4,108
წმინდა საკურსო (შემოსულობა)/ზარალი		159	(100)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		4,820	(956)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება		(2,488)	1,380
მარაგების (ზრდა)/კლება		(37)	30
სხვა საგადასახადო მოთხოვნების კლება/(ზრდა)		844	(1,118)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		234	1,792
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		612	301
გადახდილი პროცენტი		(20,249)	(80)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(16,264)	1,349
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(30,638)	(15,595)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	6	29	21
სესხების გაცემა		(13,053)	(11,047)
სესხების დაფარვის მიღება		9,787	5,100
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(33,875)	(21,521)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება	12	126,233	1,044
სესხების დაფარვა	12	(70,624)	-
მეწილეების მიერ კაპიტალის შენატანები აქციების გამოშვების გარდა	11	-	16,775
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		55,609	17,819
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(135)	11
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,720	4,062
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		7,055	1,720

5-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ („კომპანია“) და მისი შვილობილებისთვის („ჯგუფი“).

კომპანია დაარსდა და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, (სარეგისტრაციო და საგადასახადო ნომერი: 404539576; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია იყო GCF LP (რეგისტრირებულია კაიმანის კუნძულებზე), რომელიც კონტროლდება GCF GP-ს მიერ (რეგისტრირებულია კაიმანის კუნძულებზე).

რეორგანიზაციების ისტორია. 2014 წლის 16 აპრილს დაფუძნდა შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ (405039444). შპს „ჯი სი ეფ ჰიდრო დეველოპმენტი“ (406114556) წარმოადგენდა კომპანიის უშუალო მფლობელს 100% წილით.

2017 წლის 13 ივნისს, „ჯი სი ეფ ჰიდრო დეველოპმენტიდან“ გამოიყო „ჯი სი ეფ ჰიდრო მტკვარი“, „ჯი სი ეფ ჰიდრო დეველოპმენტის“ მთლიანი ინვესტიცია შპს „მტკვარი ჰოლდინგში“ გადაეცა „ჯი სი ეფ ჰიდრო მტკვარს“. ამ გადაცემის შედეგად „ჯი სი ეფ ჰიდრო მტკვარი“ გახდა შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ ახალი მშობელი კომპანია 100% წილით.

2017 წლის 17 აგვისტოს შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ შეერწყა შპს „ჰიდრო მტკვარს“. შერწყმის შედეგად შპს „მტკვარი ჰოლდინგმა“ (405039444) შეწყვიტა არსებობა და ჯი სი ეფ ჰიდრო მტკვარი გახდა მისი სამართალმემკვიდრე; შერწყმის შემდეგ, გაერთიანებული საწარმოს სახელი შეიცვალა შპს „მტკვარი ჰოლდინგით“.

2021 წლის 16 ნოემბერს, შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ შეერწყა შპს „ონი ჰოლდინგს“, რის შედეგადაც არსებობა შეწყვიტა ონი ჰოლდინგმა და შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ გახდა მისი სამართალმემკვიდრე.

ძირითადი საქმიანობა. შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ არის შპს „მტკვარი ჰესის“ მშობელი კომპანია რომლის მთავარი საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურის („HPP“) მშენებლობა და დეველოპმენტი, რომელიც მდებარეობს ახალციხეში, საქართველო.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (MoU) თანახმად, რომელიც დამტკიცდა 2015 წლის 16 ივნისს (განახლდა 2022 წლის 18 მაისს), შვილობილს, საქართველოს მთავრობასა და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციული ოპერატორს“ შორის, შვილობილმა აიღო ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური (HPP) სულ მცირე 43 მეგავატი და მაქსიმუმ 58 მეგავატი სიმძლავრით მდინარე მტკვარზე, ახალციხეში, საქართველო, 2023 წლის ბოლოსთვის. ივარაუდება, რომ HPP-ს ექნება ზედა წერტილი ზღვის დონიდან 1,015 მეტრის ზემოთ (m.a.s.l) და ქვედა წერტილი ზღვის დონიდან 909 მეტრის ზემოთ, და 227 - 234 გიგავატი ოდენობის წლიური ელექტროენერგიის გამომუშავების უნარი.

რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სართული 3, 0162, თბილისი, საქართველო.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. შენიშვნა 3-ში წარდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის აშშ დოლარი („USD“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია აშშ დოლარში („USD“), რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოში გრძელდება განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლების არსებობა. საქართველოს საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები აგრძელებენ განვითარებას და განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანია. საოპერაციო გარემოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

COVID-19. 2020 წლის 12 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა COVID-19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ საპასუხო ზომებს მიმართა და შემოიღო რამდენიმე შეზღუდვა როგორც კარანტინი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნესსაქმიანობის შეზღუდვები. ხსენებული შეზღუდვების ნაწილი შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, კვლავ რჩება რისკი რომ მთავრობმა დამატებითი შეზღუდვები დააწესოს 2023 წელს ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

რუსეთ-უკრაინის ომი. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. აღნიშნული მოვლენა საერთაშორისოდ განხილულია, როგორც საომარი აგრესია და შეჭრა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპულ სახელმწიფოზე ყველაზე ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმას წარმოადგენს. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და მიატოვა სახლები. უკრაინაში ომის პასუხად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. უამრავმა კომპანიამ და ბიზნესმა დატოვა რუსეთი და ბელარუსი. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ჯგუფზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს. ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნებათ ჯგუფის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება რომელსაც გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკასა და შედეგად ჯგუფის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ყველა აუცილებელი ზომას იღებს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მოცემული ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოყვანილია ქვემოთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. მსს ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 4.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანიები არიან ისეთი ინვესტირებული საწარმოები, სტრუქტურულად საწარმოების ჩათვლით, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ, რამდენადაც ჯგუფი (i) უფლებამოსილია განსაზღვროს ინვესტირებული საწარმოების ის საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ამონაგებზე, (ii) არის განფენილი ან უფლება აქვს, ინვესტირებულ საწარმოში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული ცვლადი ამონაგების მიღებაზე და (iii) აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებაში, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის ამონაგების ოდენობაზე. ძირითადი უფლებების არსებობა და გავლენა, პოტენციური ხმის უფლებების ჩათვლით, გაითვალისწინება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოსთან მიმართებაში. იმისათვის, რომ უფლება არსებითი იყოს, მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა, მოახდინოს ამ უფლების რეალიზება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის მიმართულების თაობაზე. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება ინვესტირებული საწარმოსთან მიმართებაში იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას აქვს ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმების უფლება ინვესტირებულ საწარმოში. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს საკუთარი ხმის უფლების თანაფარდობას სხვა პირების ხმათა ოდენობასა და განაწილებასთან, რათა განსაზღვროს, აქვს თუ არა დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებაში. სხვა ინვესტორების დაცული უფლებები, როგორცაა ისეთი, რომელიც ეხება ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში ფუნდამენტურ ცვლილებებს ან გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ აფერხებს ჯგუფის შესაძლებლობას, აკონტროლოს ინვესტირებული საწარმო. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შემდგომის თარიღი), ხოლო დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

შემდგომის მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება შვილობილი კომპანიების შემდგომის აღრიცხვისთვის. შემდგომი იდენტიფიცირებული აქტივები, ასევე ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, აღებული საწარმოთა გაერთიანების დროს, შეფასებულია შემდგომის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის ზომის მიუხედავად.

ჯგუფის რესტრუქტურირება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებთან ოპერაციები, კერძოდ - შესყიდვები, გასვლები, შვილობილების შერწყმები - წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას რომელიც არ იწვევს ცვლილებას ზოგადად კონტროლში და წინამორბედის ღირებულებების მეთოდის გამოყენებით აღირიცხება. შვილობილის აქტივები და ვალდებულებები რომელიც გადადის ერთობლივ კონტროლში, წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებია.

წინამორბედი საწარმო წარმოადგენს უმაღლეს წარმდგენ საწარმოს რომელშიც ხდება შვილობილის ფასს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდირება. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველი შესყიდვებიდან წარმოშობილი გუდვილი ასევე აღრიცხულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების შერწყმისას, ფინანსური ანგარიშგება კომბინირდება თითოეული მუხლის მიხედვით. შერწყმული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მუხლები ჯამდება, მათ შორის საწესდებო კაპიტალი და სხვა რელევანტური მუხლებიც, რათა აისახოს შერწყმული საწარმოების კომბინირებული ფინანსური მდგომარეობა.

სხვაობა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასა, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით და შესყიდვისას გადახდილ ანაზღაურებას შორის ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც სხვა რეზერვების კორექტირება საკუთარ კაპიტალში.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის აშშ დოლარი (USD), შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- (i) ამჟამად ჯგუფი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპზეა და სამშენებლო ხარჯები ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში;
- (ii) შვილობილის კაპიტალური შენატანები ძირითადად ხორციელდება აშშ დოლარში;
- (iii) შვილობილის ფინანსურ სტრუქტურაში დომინირებს აშშ დოლარი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

იმის გათვალისწინებით რომ კომპანიის ძირითადი საქმიანობაა შვილობილის დაფინანსება, კომპანიას შპს „მტკვარი ჰესის“ გარდა არ ყავს სხვა შვილობილი, ფინანსური სტრუქტურა და კაპიტალური შენატანები დოლარშია დენომინირებული, კომპანიის სამუშაო ვალუტა არის აშშ დოლარი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია აშშ დოლარში (USD), რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში და კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი კურსით.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგება ან ზარალში. შემოსავალი ან ზარალი წარმოქმნილი ასეთი ოპერაციების ფარგლებში ანგარიშსწორებისას და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა საკურსო მოგება/ზარალი. შემოსავალი ან ზარალი წარმოქმნილი ასეთი ოპერაციების ფარგლებში ანგარიშსწორებისას და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა საკურსო მოგება/ზარალი. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო აშშ დოლარი 1=2.7020 ლარი, (2021: აშშ დოლარი 1=3.0976 ლარი) და აშშ დოლარი 1=0.9368 ევრო (2021: აშშ დოლარი 1=0.8840 ევრო).

ძირითადი საშუალება. ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. ძირითადი საშუალება მოიცავს მშენებარე აქტივებს, რომლებიც სამომავლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ძირითადი საშუალება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების დანახარჯები კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი კომპენსირდება, შესაბამისად, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში ცვლილებებს.

მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი ან ხარჯები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ცვეთა. მიწა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებებისთვის, რომლებიც ამჟამად გამოყენებაშია, არის 5 წელი. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა საიჯარო ქონების გაუმჯობესებებისთვის არის უმცირესი სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის ვადას შორის.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და კორექტირდება თუ საჭიროა.

გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის მოიცავს ავანსებს მშენებარე აქტივებისთვის, რომლებიც შემდგომში კლასიფიცირებული იქნება, როგორც ძირითადი საშუალება. ამგვარი გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარჩებებით და კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, რადგან ის დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში იქნებოდა რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ შეიცვლება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფს არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, მოწმდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა გაირკვეს, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. თუკი ასეთი ნიშნები არსებობს, ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურებაზე ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა შემოწმება ცალ-ცალკე შეუძლებელია, ჯგუფდება უმცირესი აქტივების ჯგუფში, რომელიც წარმოქმნის ფულად სახსრებს განგრძობადი გამოყენებისას და რომლებიც ძირითადად არ არის დამოკიდებული სხვა აქტივებსა და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (CGU). ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნის ფულად სახსრებს ცალკე და გამოიყენება ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული, გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას ხდება ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების დისკონტირება მათი ახლანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას აქტივისა თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, აღიარებული ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში, ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად პროპორციულ საფუძველზე. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ზარალის შემცირების ან აღარ არსებობის ნიშნებზე დაკვირვებით. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, თუკი მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი თანხის განმსაზღვრელ შეფასებებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ თანხამდე, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოკლებით, თუკი გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ისე როგორც აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი თუ მოდელი დაფუძნებული გაშლილი ხელის პრინციპის ახლანდელ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების გათვალისწინებაზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე ბაზრების ფასებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულებით შეფასების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე გულისხმობს კოტირებული ფასებით (არაკოტირებული) გაზომვას აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური შემავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადგენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად შემავალ მონაცემებს). ითვლება, რომ გადაცემები რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის მოხდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ტრანზაქციების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, დამატებული დარიცხული პროცენტი, და ფინანსური აქტივებისათვის, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საკომისიოს ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება შეიცავს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ თუ მიღებულ საფასურს, რომელიც ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ძირითადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს გარდა ისეთი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას, რომელთა შეფასებაც რეალური ღირებულებით ხდება მოგება ან ზარალში ასახვით) გარდა იმ შემთხვევისა როცა ის ფაქტიურად შეადგენს დაფინანსების ოპერაციას. დაფინანსების ოპერაციას შეიძლება ადგილი ქონდეს საქონლის ან მომსახურების გაყიდვისას, მაგალითად, როდესაც ანგარიშსწორება უფრო დაგვიანებით ხდება ვიდრე ჩვეულებრივი საქმიანობის ვადებში ან დაფინანსებულია არასაბაზრო განაკვეთით. თუ გარიგება შეიცავს დაფინანსების ოპერაციას, ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს ახლანდელი ღირებულებით რომელიც სამომავლო გადახდების მსგავსი სავალო ინსტრუმენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებაა.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. სავალო ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიც მიმდინარე აქტივებად ან ვალდებულებებადაა კლასიფიცირებული ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულის ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული თანხით (ე.ი. გაუფასურების გარეშე) გარდა იმ შემთხვევისა როცა ის ფაქტიურად შეადგენს დაფინანსების ოპერაციას. თუ გარიგება შეიცავს დაფინანსების ოპერაციას, ჯგუფი სავალო ინსტრუმენტს აფასებს ახლანდელი ღირებულებით რომელიც სამომავლო გადახდების მსგავსი სავალო ინსტრუმენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებაა.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის არადაკავშირებულ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობა და (iii) გადახდის უუნარობა ან გაკოტრება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნამდე საბანკო ნაშთებს და სხვა მაღალი ლიკვიდობის მოკლევადიან ინვესტიციებს რომელთა დაფარვის ვადა სამი თვე ან ნაკლებია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის შეზღუდული ნაშთები ამოღებულია ფულის და ფულის ეკვივალენტებიდან. ის შეზღუდული ნაშთები რომელთა გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის პერიოდში, შესულია ფულის და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები. სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარცხის გამოყენებით. სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების ანარცხი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ ჯგუფმა მთლიანად ვერ მიიღოს ანაზღაურება მოთხოვნების და გაცემული სესხების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების აღიარება ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით აღიარება, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯების გამოკლებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხდენითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15% გადასახდელია „აგროსილ“ ღირებულებაზე (ე. ი. წმინდა დივიდენდები „იგროსება“ წყაროსთან დასაკავებელი („withholding“) გადასახადის 5%-ით, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტ იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. შედეგად, ჯგუფი წყვეტს ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარებას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგება ან ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ საწარმოებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში მუხლში „სხვა გადასახადები გარდა მოგებისა“.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა ჯგუფის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის, შემდეგი ოპერაციებიდან უადრესად განხორციელებისთანავე: (ა) მომხმარებლებისგან ავანსის მიღებისას ან (ბ) საქონელის ან მომსახურების მომხმარებლებზე მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი საწარმოების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით. როდესაც მოთხოვნებისთვის იქმნება ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოვალის მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

საოპერაციო იჯარები. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა ისეთ იჯარაში სადაც აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი მეიჯარიდან არ გადადის ჯგუფზე, მთლიანი იჯარის გადახდები აღიარდება წლის მოგება ან ზარალში წრფივ საფუძველზე, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არაგაუქმებადი პერიოდი რომელშიც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის კონტრაქტი ნებისმიერ სამომავლო ვადასთან ერთად რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მოიჯარეს რათა გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადასახადით თუ მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში საიმედოდ გარკვეულია რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.

3 მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარეცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებულია გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფინანსური შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის ასახვა ხდება ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი გადაავადებს, საპროცენტო შემოსავლის ნაწილის სახით, მთლიან საკომისიოს, რომელიც მიღებულია ხელშეკრულების მხარეთა შორის და რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განკვეთის განუყოფელ ნაწილს. ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე და ვადიან დეპოზიტებსა და შემნახველ ანგარიშებზე დარიცხული სარგებელი.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საქართველოს საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდში გადახდების, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის (როგორიცაა სამედიცინო დაზღვევა) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაჩეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები წარდგენაში. წლის განმავლობაში, ჯგუფმა შეცვალა სავაჭრო ვალდებულებების და შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის ვალდებულებებს კლასიფიკაცია. კომპანიას მიაჩნია რომ ცვლილების წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და რელევანტურია. ბასს 8-ის მიხედვით, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტიულად და შესადარისი მონაცემებიც შესაბამისად გადაანგარიშდა.

წარდგენის მიზნებისთვის, 2021 წლის 31 დეკემბრის თანხებზე რეკლასიფიკაციების ეფექტი შემდეგი იყო:

	თავდაპირველად წარდგენილი	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული 31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	3,332	(3,284)	48
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	580	3,284	3,864

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, რომელმაც განახორციელა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნების დართვა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება. ჰიდროელექტროსადგურის კომერციული საქმიანობის დაწყების სავარაუდო თარიღმა რამდენჯერმე გადაიწია არსებული ნაგებობების დიზაინის ცვლილებების, დამატებითი ნაგებობების მშენებლობის, COVID-19 პანდემიის და შესაბამისი გაზრდილი ხარჯების გამო. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, კომერციული საქმიანობის დაწყება ივარაუდება 2024 წლის მარტში. მიუხედავად ზემოაღწერილი გარემოებებისა, 2022 წელს პროექტის დაფინანსებას არ ქონია სირთულეები. (ჯგუფმა დაკავშირებული მხარეებისგან მიიღო დამატებითი დაფინანსება და მშენებლობაში ინვესტიციამ შეადგინა 27,818 ათასი აშშ დოლარი. (2021: კაპიტალურმა შენატანებმა შეადგინა 11,587 ათასი აშშ დოლარი). გარდა ამისა, კომპანიამ GCF Luxemburg-დან მიიღო მხარდაჭერის წერილი, მშობელმა კომპანიამ განაცხადა რომ GCF Luxemburg-ს განზრახული აქვს და შეუძლია რომ ჯგუფს გაუწიოს აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა მშენებლობის დასასრულებლად და შვილობილის ოპერაციების დასაწყებად.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის პირობებთან შესაბამისობის მიზნით, ჯგუფმა ბანკისგან დათმობის წერილი მიიღო საანგარიშგებო თარიღისთვის, ბანკი დათანხმდა რომ არ მოითხოვს გრძელვადიანი სესხების დაფარვას სახელშეკრულებო დაფარვის თარიღამდე. გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში, შვილობილმა მოახდინა სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხების რესტრუქტურისაცა, დაფარვის თარიღი გაგრძელდა 2034 წლამდე ხოლო საშელავათო პერიოდმა პროცენტისა და ძირის გადახდებზე გადაიწია 2023 წლის აპრილამდე და 2024 წლის აპრილამდე.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ზემოაღწერილი გარემოებები და განსაზღვრა რომ პროექტის სამომავლო დაფინანსებაში ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. ამ მსჯელობაში ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ინვესტირებული კაპიტალი და მიმდინარე განზრახვები.

აქტივების გაუფასურება და ანარიცხებისთვის აღრიცხვა: ყოველი საბალანსო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა მინიშნება, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირდა საბალანსო ღირებულებაზე ქვემოთ. თუ ასეთი მინიშნება განისაზღვრა, ჯგუფი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. იმის განსაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

რეალური ღირებულების შეფასება. ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს რეალური ღირებულებების შეფასებას როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისთვის. რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სხვადასხვა დონეებად რეალური ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოყენებულია შეფასების ხერხებში და მოიცავს შემდეგს:

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

დონე 1: იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები.

დონე 2: სხვა მონაცემები გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის პირველ დონეში, და რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან არაპირდაპირ (ფასიდან გამომდინარე).

დონე 3: მონაცემები აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, რომელიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (დაუკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები კლასიფიცირებულია სხვადასხვა დონეებად რეალური ღირებულების იერარქიაში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასება მთლიანად კლასიფიცირდება რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა ზოგადად, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანია და მაკონტროლებელი მხარეა GCF LP.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათას აშშ დოლარში	საბოლოო ბენეფიციარი	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სესხები	9,928	24,982	500
გაცემული სესხები	-	-	541

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგი იყო:

ათას აშშ დოლარში	საბოლოო ბენეფიციარი	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
საპროცენტო ხარჯი	662	465	-
საპროცენტო შემოსავალი	-	738	636

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათას აშშ დოლარში	საბოლოო ბენეფიციარი	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
გაცემული სესხები	-	4,371	2,090

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგი იყო:

	საბოლოო ბენეფიციარი	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ათას აშშ დოლარში			
საპროცენტო შემოსავალი	-	351	90

ხელმძღვანელობის ანაზღაურება. ხელმძღვანელობაში შედიან ჯგუფის დირექტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჯგუფის ოპერაციების სხვადასხვა მიმართულებებს. 2022 წელს, ხელმძღვანელობამ მიიღო 144 ათასი აშშ დოლარის ხელფასები და ბონუსები (2021: 103 ათასი აშშ დოლარი), რომელიც შესულია მუხლში „ხელფასები და სარგოები“. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი დარიცხული ბონუსი შეადგენდა 12.9 ათას აშშ დოლარს (31 დეკემბერი 2021: ნული).

6 ძირითადი საშუალებები

მომძრაობები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში შემდეგი იყო:

	მიწა	მოწყობილობები, აღჭურვილობა და სხვა	მშენებარე აქტივები*	სულ	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის
ათას აშშ დოლარში					
თვითღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	511	329	117,382	118,222	5,328
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(263)	(59,946)	(60,209)	-
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	511	66	57,436	58,013	5,328
დამატებები	-	2	13,761	13,763	1,671
გასვლები	-	-	(22)	(22)	-
ტრანსფერები მშენებარე აქტივებში/სხვა გადახდილი	-	-	-	-	(2,209)
ავანსების აღიარების შეწყვეტა	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(39)	-	(39)	-
ცვეთა გასვლებზე	-	(2)	-	(2)	-
გაუფასურების ხარჯი	-	-	(28,167)	(28,167)	-
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	511	331	131,121	131,963	4,790
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(304)	(88,113)	(88,417)	-
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	511	27	43,008	43,546	4,790
დამატებები	-	95	16,431	16,526	17,720
გასვლები	(4)	(16)	(34)	(54)	-
ტრანსფერები მშენებარე აქტივებში/სხვა გადახდილი	-	-	-	-	(5,889)
ავანსების აღიარების შეწყვეტა	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(45)	-	(45)	-
ცვეთა გასვლებზე	-	13	-	13	-
გაუფასურების ხარჯი	-	-	(15,233)	(15,233)	-
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	507	410	147,518	148,435	16,621
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(336)	(103,346)	(103,682)	-
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	507	74	44,172	44,753	16,621

(*) მშენებარე აქტივები - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აღჭურვილობა

6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოავლინა გაუფასურების შიდა და გარე ინდიკატორები (ოპერაციების დაწყების გადავადება, მშენებლობის ხარჯების ზრდა, დისკონტირების განაკვეთის ზრდა) და გააკეთა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ანალიზი. ანალიზის შედეგად აღიარდა 15,233 ათასი აშშ დოლარის გაუფასურების ზარალი.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება გამოყენების ღირებულების გაანგარიშებაზე დაფუძნებით. ეს გაანგარიშებები იყენებს ფულადი სახსრების განსაზღვრას ფინანსურ ბიუჯეტზე დაფუძნებით, რომელიც დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ფარავს 52 წლიან პერიოდს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულება გაანგარიშდა დაბეგვრის შემდგომი საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების გამოყენებით, 11.84%-ით. გაკეთებული ძირითადი დაშვებები და ამ დაშვებებში გონივრულად სავარაუდო შესაძლო ცვლილებები, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების პირობებში, შემდეგია:

- დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთად ნაგარაუდევია 11.84%. ამ განაკვეთი 1%-ით ზრდის / შემცირების შემთხვევაში ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულება შემცირდება 9,112 ათასი დოლარით / გაიზრდება 10,936 ათასი აშშ დოლარით.
- გაზრდილი CAPEX - დარჩენილი გაზრდილი CAPEX 2023-2024 წლებში სავარაუდოა რომ შეადგენს 44,098 ათას აშშ დოლარს. ამ CAPEX-ის 5%-ით ზრდის / შემცირების შემთხვევაში ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულება შემცირდება 1,975 ათასი დოლარით / გაიზრდება 1,975 ათასი აშშ დოლარით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურებამ შეადგინა 28,167 ათასი ლარი, რომელიც ეყრდნობა დამოუკიდებელი შეფასების ექსპერტის, შპს KPMG Georgia-ს მიერ ჩატარებულ გაუფასურების ტესტს.

ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

ათას აშშ დოლარში	სამშენებლო საქმიანობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „ფერი“	სამოქალაქო	9,926	1,614
Sevinc Makina Sanayi Ve Ticaret	ჰიდრომექანიკური	2,683	-
სს „საქენერგორემონტი“	სამოქალაქო	2,057	2,253
JSC Igholding Rus Branch	ჰიდრომექანიკური	729	729
Stucky LLC	ინჟინერია და დიზაინი	631	89
Voith Hydro GmbH & Co KG	ელექტრომექანიკური	388	69
სხვები		207	36
სულ ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		16,621	4,790

უზრუნველყოფა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, რომლის საბალანსო ღირებულებაც 44,753 ათასი აშშ დოლარი (2021: 43,546 ათასი აშშ დოლარი) შპს „მტკვარი ჰოლდინგში“ 100%-იან წილთან ერთად, ყველა არსებული და მომავალი არამატერიალური აქტივი დატვირთულია საკრედიტო პროდუქტების შესახებ ზოგადი შეთანხმებით სს „თიბისი ბანკთან“, რომელიც თარიღდება 2016 წლის 29 დეკემბრით.

7 გაცემული სესხები

ათას აშშ დოლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი			
შპს „გეოფერტი“	10%	-	1,701
სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები		-	1,701
მიმდინარე			
სს „აქსის თაუერსი“	19.56%	4,861	2,090
შპს „გეოფერტი“	10%	3,652	-
შპს „გეოაგრო“	10%	1,455	-
სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“	10%	509	-
სს „აქსის თაუერს ჰოლდინგი“	10%	33	-
შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი	10%	-	2,670
სს „საქენერგორემონტი“		-	96
სულ მიმდინარე გაცემული სესხები		10,510	4,856
ანარიცხი სესხების გაუფასურებისთვის		(9,969)	-
სულ გაცემული სესხები, წმინდა		541	6,557

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ნაშთში შესულია 214 ათასი აშშ დოლარის და 90 ათასი აშშ დოლარის დარიცხული პროცენტი.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

8 ვადიანი დეპოზიტები

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ვადიანი დეპოზიტები	1,312	1,278
სულ	1,312	1,278

ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს ცალკეულ დეპოზიტს, რომელიც შეზღუდულია სს „საქართველოს ბანკის“ (საკრედიტო რეიტინგი: BB-) მიერ გამოცემული გარანტიით საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ, რათა დაფაროს ჯგუფის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესრულების ვალდებულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. (იხილეთ შენიშვნა 1).

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა მოთხოვნები	2,451	-
სავაჭრო მოთხოვნები	450	414
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,901	414

2,451 ათასი აშშ დოლარი წარმოადგენს მოთხოვნას სადაზღვევო კომპანიის მიმართ მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ, დაკარგული მოგების (ALOP), მშენებლობის დაგვიანების გამო საბანკო სესხზე დარიცხული პროცენტის და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისთვის (იხილეთ შენიშვნა 14).

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განისაზღვრა, როგორც უმნიშვნელო, რადგან სავაჭრო მოთხოვნები გამომდინარეობს ჯგუფის მთავარ კონტრაქტორთან არსებული ოპერაციებით, რომელთანაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულებები კაპიტალისთვის, (შენიშვნა 16) ხოლო სხვა მოთხოვნები ეფუძნება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას (შენიშვნა 14).

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	7,055	1,720
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,055	1,720

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, რომელიც დაფუძნებულია Fitch Rating-ზე, შეჯამებულია ქვემოთ:

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული		
BB- შეფასება	3,851	1,700
B შეფასება	3,204	20
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,055	1,720

11 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში.

ათას აშშ დოლარში	2022	2021
ნაშთი 1 იანვარს	96,770	79,487
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	16,775
შერწყმის ეფექტი	-	508
ნაშთი 31 დეკემბერს	96,770	96,770

2021 წლის 16 ნოემბერს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო შპს „ონი ჰოლდინგი“ შეერყა კომპანიას. შპს „ონი ჰოლდინგის“ 1,602 ათასი ლარი სააქციო კაპიტალი კონვერტირდა კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

12 სესხები

ათას აშშ დოლარში	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები (წლიური)	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი				
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	8% - 9% + 6 თვის SOFR	2034	63,960	39,608
სულ გრძელვადიანი სესხები			63,960	39,608
მიმდინარე				
ადგილობრივი იურიდიული პირები	0% - 7.00%	2023	25,482	-
კერძო პირები	7.50%	2023	9,928	-
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	8% - 9% + 6 თვის SOFR	2034	262	18,213
სულ მიმდინარე სესხები			35,672	18,213
სულ სესხები			99,632	57,821

2022 წლის 29 დეკემბერს ჯგუფმა მოახდინა სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის რესტრუქტურირება. ჯგუფმა 61,546 ათასი აშშ დოლარის ახალი ვადიანი სესხები გაიტანა რომლებიც გამოყენებულ იქნა არსებული სესხების დასაფარად. ახალი სესხები მიღებულ იქნა სამი ტრანშით, 41,692 ათასი აშშ დოლარი, 3,948 ათასი აშშ დოლარი და 15,906 ათასი აშშ დოლარი. სესხები დოლარშია დენომინირებული, დაფარვის ვადაა 2034 წელს და საშეღავათო პერიოდები აქვს პროცენტის და ძირის გადასახდელოდ 2023 აპრილამდე და 2024 წლის აპრილამდე. რესტრუქტურირებამ გამოიწვია 437 ათასი აშშ დოლარის გაუქმების შემოსულობის აღიარება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია ფიქსირებული განაკვეთით დამატებული 6 თვის SOFR. შეთანხმებულია, რომ ფიქსირებული განაკვეთი არის 8% წლიურად ენერგოსადგურის ინსპექტირებამდე და 7.5% ენერგოსადგურის ინსპექტირების შემდეგ 41,692 ათასი აშშ დოლარი სესხისთვის. (2021: ფიქსირებული განაკვეთს დამატებული 6 თვის აშშ დოლარის LIBOR. კონტრაქტის მიხედვით ფიქსირებული განაკვეთია 8% წლიური ენერგოსადგურის ინსპექტირებამდე და 7.5% ელექტროსადგურის ინსპექტირების შემდეგ). სხვა ტრანშებისთვის, კონტრაქტის მიხედვით ფიქსირებული განაკვეთია 9% ელექტროსადგურის ინსპექტირებამდე და 7.5% ელექტროსადგურის ინსპექტირების შემდეგ.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები, მარაგები, არამატერიალური აქტივები, ისევე როგორც შვილობილში მშს „მტკვარი ჰოლდინგის“ 100%-იანი წილი, დაკავებულია სესხების უზრუნველყოფით.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	299	52
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	1,565	3,864
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,864	3,916
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	13	-
სულ სხვა ვალდებულებები	13	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,877	3,916

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები უმეტესად მოიცავს დასაკავებელი თანხების ვალდებულებებს ჯგუფის მიერ კონტრაქტორებთან სამუშაოების კონტროლისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

14 სადაზღვევო კომპენსაცია

2019 წლის 4 ნოემბერს შვილობილმა (შპს „მტკვარი ჰესი“) თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ რათა მას აენაზღაურებინა გვირაბში გაუთვალისწინებელი გეოლოგიური სიტუაციის გამო გამოწვეული ზარალი. ჯგუფმა მოითხოვა კომპენსაცია მატერიალური ზარალისთვის, დაკარგული მოგების (ALOP), საბანკო სესხზე დარიცხული პროცენტის და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისთვის. 2022 წლის 20 ოქტომბერს სასამართლომ ჯგუფის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით, ჯგუფი მიიღებს 8,138 ათასი აშშ დოლარის კომპენსაციას, საიდანაც 5,687 ათასი აშშ დოლარი მიღებულ იქნა 2022 წელს. 2,451 ათასი აშშ დოლარი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის აღირიცხა როგორც სხვა მოთხოვნა (იხილეთ შენიშვნა 17).

15 ფინანსური ხარჯები

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საპროცენტო ხარჯი	6,892	4,108
ბანკის საზღაური და დარიცხვები	1,273	12
სულ ფინანსური ხარჯები	8,165	4,120

ბანკის საზღაურში და დარიცხვებში შესულია ფინანსური ინსტიტუტისთვის სესხების რესტრუქტურირებისათვის გადახდილი საკომისიოები (იხილეთ შენიშვნა 12).

16 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა, მინიმალური სამომავლო საიჯარო გადახდები შეუწყვეტადი საოპერაციო იჯარებისთვის შემდეგია:

ათას აშშ დოლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
არაუგვიანეს 1 წლისა	19	17
1 წელზე გვიან მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	96	83
5 წელზე მეტი	746	671
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები	861	771

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა საკონტრაქტო პირობითი ვალდებულებები რომ თავისი კონტრაქტორებისგან შემდგომი წლის განმავლობაში მომსახურებები შეეძინა 42,592 ათას აშშ დოლარად (26,302 ათასი აშშ დოლარი 2021 წელს).

შესრულების გარანტია. ურთიერთთანამშრომლობის შეცვლილი და შესწორებული მემორანდუმის (MoU) თანახმად, რომელიც გაფორმდა 2022 წლის 18 მაისს შვილობილს, საქართველოს მთავრობასა და სს ელექტროობის სისტემის კომერციული ოპერატორს შორის, შვილობილმა აიღო ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური (HPP) სულ მცირე 43 მეგავატი და მაქსიმუმ 58 მეგავატი სიმძლავრით მდინარე მტკვარზე, ახალციხეში, 2023 წლის ბოლოსთვის. შესრულების გარანტია 1,000 ათასი დოლარის ოდენობით გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ, რათა დაეფარა შვილობილის შესასრულებელი ვალდებულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმთან დაკავშირებით. შვილობილი ვალდებულია საქართველოს მთავრობასთან რომ განახორციელოს მთლიანობაში 65,000 ათასი დოლარის ოდენობის კაპიტალური დანახარჯი HPP-ს მშენებლობისთვის, რომელიც უკვე განხორციელდა (იხილეთ შენიშვნა 1).

16 გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ მომდევნო 2 წლის განმავლობაში შეიძინოს 42,592 ათასი დოლარის მომსახურებები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ მომდევნო წლების განმავლობაში შეიძინოს 26,302 ათასი დოლარის მომსახურებები.

17 პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების სტადიაზეა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული დაზღვევების ბევრი ფორმა ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა მისი აღჭურვილობების, ბიზნესის შეწყვეტის ან მესამე მხარესთან დაკავშირებული ვალდებულებების ქონებასთან დაკავშირებით ან გარემოსთან დაკავშირებული საფრთხის, რომელიც წარმოქმნილია სხვადასხვა შემთხვევებისგან ჯგუფის ქონებასთან დაკავშირებით, ან უკავშირდება ჯგუფის საქმიანობას. ნაცვლად ამისა, აქტივები, რომლებიც არ არის დაზღვეული ჯგუფის მიერ დაზღვეულია კონტრაქტორების მიერ ჯგუფის სასარგებლოდ. 2019 წლის 4 ნოემბერს შვილობილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ რათა მას აენაზღაურებინა გვირაბში გაუთვალისწინებელი გეოლოგიური სიტუაციის გამო გამოწვეული ზარალი. შვილობილმა მოითხოვა კომპენსაცია მატერიალური ზარალისთვის, დაკარგული მოგების (ALOP), საბანკო სესხზე დარიცხული პროცენტის და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისთვის. 2022 წლის 20 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ შვილობილის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.

სასამართლო დავა. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთაც შესაძლოა ჰქონოდა მატერიალური გავლენა ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღწერილი ან განმარტებული მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხდება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოში გარემოსთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება ვითარდება და მთავრობის ორგანოების აღმასრულებელი ნება მუდმივად გადაიხდება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსთან დაკავშირებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციებში ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო დავები ან კანონმდებლობა, ვერ იქნება შეფასებული, თუმცა შესაძლოა იყოს მატერიალური. მიმდინარე სააღსრულებო გარემოში არსებული კანონმდებლობის ქვეშ, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი შესაბამისობაშია საქართველოს ყველა გარემოსთან დაკავშირებულ კანონსა და რეგულაციასთან.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შემოთავაზება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე.

17 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა სესხის პირობებთან. ჯგუფი ექვემდებარება მის სესხებთან დაკავშირებულ პირობებს. ამ პირობებთან შეუთავსებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები ჯგუფისთვის, მათ შორის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა ან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადება.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს დარღვეული ქონდა სს „თიბისი ბანკთან“ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც მოითხოვდა რომ შვილობილს ყველა მისი ტრანზაქცია, ფულის ნაშთები და სახელფასო პროექტები ექსკლუზიურად სს „თიბისი ბანკში“ ქონოდა. შვილობილმა ბანკისგან დათმობის წერილი მიიღო საანგარიშგებო თარიღამდე, ბანკი დათანხმდა რომ კომპანიისგან არ მოითხოვს გრძელვადიანი სესხების დაფარვას სახელშეკრულებო დაფარვის თარიღამდე.

18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის იანვარში, ჯგუფმა მიიღო დარჩენილი 2,451 აშშ დოლარის სადაზღვევო მოთხოვნა.

2023 წლის თებერვალში, ჯგუფმა განაახლა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (MoU) საქართველოს მთავრობასთან და სს ელექტრობის სისტემის კომერციული ოპერატორთან, რის შედეგადაც ჰიდროელექტროსადგური (HPP) სიმძლავრე გაიზარდა 54.1 მეგავატამდე, წლიურად 268 გიგავატსაათის გამომუშავებით. კომერციული ოპერაციების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 31 დეკემბერი.

2023 წლის მაისში, მტკვარი ჰოლდინგის მშობელმა კომპანიამ მტკვარი ჰოლდინგის საწესდებო კაპიტალი შეამცირა 100 ათასი აშშ დოლარით.

2023 წელს, ჯგუფმა დაკავშირებულ მხარეებზე გასცა 955 ათასი აშშ დოლარის სესხები. 762 ათასი აშშ დოლარი ასესხა შპს „გეოფერტს“ და 185 ათასი აშშ დოლარი შპს „გეოაგროს“, სესხის თავდაპირველი ხელშეკრულებების შესაბამისად. დამატებით, ჯგუფმა შპს „აგროჰოლდინგზე“ გასცა 8 ათასი აშშ დოლარის სესხი.